ოქმი:**ო02.37210641**

თარიღი:**05/03/2021**

ოქმი N 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2021 წელი, 2 მარტი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00-საათი

თავმჯდომარეობდა: ლ.ბიგვავა-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, დ.ჭაკნელიძე, თ.ტუღუში, ტ.არუშიძე, გ.ჩაგანავა, გ.მდინარაძე, ლ.საჯაია, პ.კიღურაძე, გ.ჩავლეშვილი, ვლ.ჩავლეშვილი, ე.გორდელაძე.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის მოწესრიგებისათვის 2020 წელში გატარებული და 2021 წელში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

თანამომხს: **ლ.თავაძე**

2.კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

კომისიის წევრებს მომხსენებელმა ლ.ბიგვავამ მოკლედ მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით, 2020 წელში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, ხოლო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ლ.თავაძემ. აღნიშნა, რომ ამჟამად მიმდინარეობს გარე ვაჭრობისათვის გამოსაყოფი მიწის ნაკვეთების შერჩევა- რეგისტრაციის პროცესი, რომლის დამთავრების შემდეგ დაკანონდება გარე ვაჭრობის ადგილები და მოხდება მისი კანონმდებლობის შესაბამისად რეგულირება. კომისიის წევრმა გ.მდინარაძემ დასვა შეკითხვა-გარე ვაჭრობის რეგულირების წესები შეეხებოდა თუ არა დაბა ურეკის ტერიტორიას? განუმარტეს რომ წესი იმოქმედებს დაბის ტერიტორიაზეც. სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ დასვა შეკითხვა- საბოლოოდ როდის დასრულდება გარე ვაჭრობის რეგულირების პროცესი? განუმარტეს, რომ მიმდინარე წლის ზაფხულამდე. ამის შემდეგ ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ ინფორმაცია მოსმენილ იქნა, მდგომარეობა გარე ვაჭრობის რეგულირების საქმეში არასახარბიელოა, საჭიროა მერიის სამსახურების ერთობლივი აქტიურობა, კომისიის მიერ ინფორმაციაზე მომზადდება დასკვნა.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო შემოსული წერილები: ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ იანეთის მცხოვრებთა კოლექტიური, რომელშიც ითხოვენ 1300 მეტრი გზის რეაბილიტაციას, რომლის პროექტიც მომზადებულია, ამ წერილის განხილვისას კომისიის წევრმა ტ.არუშიძემ განაცხადა, რომ პრიორიტეტი უნდა იყოს სოფლების ცენტრარული მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. იაშარ ნაკაშიძის -ანასეულის დასახლებიდან, რომელიც ითხოვს საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციას. დვაბზუს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა-დვაბზუს მცხოვრებ ზ.ღლონტის, რომელიც აცხადებს, რომ მეზობლის- ავ.ჯაველიძის ეზოში აგებული ავტოსახელოსნო და სამრეცხაო დაჩრდილავს მის საცხოვრებელ სახლს, იქნება ხმაური და დააჭუჭყიანებს გარემოს. ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრები რ.ტაკიძის, რომელიც ითხოვს მუნიციპალიტეტისაგან დამეწყრილი საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის გამაგრებითი სამუშაოების გეოლოგიური დასკვნის შესაბამისად მუნიციპალიტეტისაგან განხორციელებას, რადგან მეწყერი გამოწვეულია მუნიციპალიტეტის მიერ გზის გაყვანით. გრიშაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევის მცხოვრებთა-ითხოვენ 200 მეტრი გზის რეაბილიტაციას. კონჭკათის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრები ზ.ჩხარტიშვილის, რომლის საცხოვრებელ სახლს გეოლოგიური დასკვნის შესაბამისად სჭირდება გამაგრებითი სამუშაოები, რომლის საშუალებაც ოჯახს არ ააქვს. ქ. ოზურგეთში კიტა მეგრელაძის ქუჩის მცხოვრებ რ.მუჯირის, რომელიც ითხოვს დახმარებას საცხოვრებელი სახლის ჩამონგრეული ჭერის აღსადგენად. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება წერილები რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს(კ.შარაშენიძე).

გადაწყვიტეს:

1. მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის მოწესრიგების 2020 წელში გატარებული და 2021 წელში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ მიღებულ იქნას ცნობად.

2.კომისიაში შემოსული წერილები რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს(კ.შარაშენიძე).

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი